

**ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პროპორციული წესით არჩეული
საკრებულოს წევრის ლაშა ლეთოდინის ანგარიში 2019 წლის გაწეული მუშაობის
შესახებ**

წარმოვადგენ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პროპორციული წესით არჩეულ საკრებულოს წევრს „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“. გაერთიანებული ვარ ფრაქცია „ერთობაში“ და ვარ ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე, სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისიის წევრი.

2019 წლის განმავლობაში ვესწრებოდი საკრებულოს სხდომებს, კომისიის და ფრაქციის სხდომებს. სისტემატიურად ვხვდებოდი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, ვისმენდი მათ პრობლემებს რომლებზეც საკრებულოს სხდომებზე ვახდენდი რეაგირებას. ნაწილი პრობლემა მოგვარებულია თუმცა კვლავაც მრავალი პრობლემა დგას.

ვმონაწილეობდი სოფლის პროგრამით გათვალისწინებული პროექტების შერჩევა-განხორციელებაში, ასევე ვმონაწილეობდი საკურორტო ადგილი „ახალჭალაში“ არსებული მდგომარეობის შესწავლის და მისი განვითარებისათვის საჭირო რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, საკრებულოს მიერ დროებით სამუშაო ჯგუფში. ჯგუფთან ერთად შევისწავლე არსებული მდგომარეობა და წარვუდგინე საკრებულოს.